

ანგარიში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
გაწეული მუშაობის შესახებ

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: დავით იშხნელი

თანამდებობის დასახელება: საკრებულოს წევრი

საანგარიშო პერიოდი: - 2016 წელი

კომისი(ებ)ის დასახელება: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის წევრი

სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

ფრაქციის დასახელება: ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 24 სხდომა (10 რიგითი და 14 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 23 სხდომა

- სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 32 სხდომა

კომისიის სხდომებზე დასწრება:

- საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ
ჩატარდა 21 სხდომა, დავესწარი 5 სხდომას

- სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ ჩატარდა - 11 სხდომა

დავესწარი - 10 სხდომას

- სულ ფრაქციის სხდომის რაოდენობა - 9 სხდომა

დავესწარი ფრაქციის - 5 სხდომას

- საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N664 განკარგულების და „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივნისის N842 განკარგულების მიღება, რომლითაც მხარდაჭერილი იქნა ისეთი პროგრამების განხორციელება როგორცაა: **მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამა**, რომლის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეებისათვის სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება, დადგენილი ლიმიტების ფარგლებში; **უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამა**, რომლის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის (შემდგომში „ბენეფიციარი“) ყოველდღიურად უფასო სადილით უზრუნველყოფა; **C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა**, რომლის მიზანია C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა; **უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა**, რომლითაც გათვალისწინებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული, რუსთაველი სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების (შემდგომში - "ბენეფიციარი") სოციალურ დახმარებას წახალისების მიზნით.

- **საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წავმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ქალაქ რუსთავის საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან როგორც ინფრასტრუქტურული განვითარების კუთხით, ასევე დამეგობრებულ ქალაქებს შორის გაცვლითი ხასიათის კულტურულ ღონისძიებებში. ამის მაგალითია ლიტვაში, ქალაქ აკმენეში, „აკმენეს ვიოლინო 2016“-ის ოფიციალურ მუსიკალურ ფესტივაზე ჩემი ვიზიტი.

როგორც საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი ჩართული ვარ აღნიშნული კომისიების

საქმიანობაში განსახილველად გამოტანილ საკითხებზე სათანადო დასკვნების შემუშავებაში, ხოლო როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს სხდომებზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

2016 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური კომისიის ფარგლებში მოხდა ქალაქში არსებული სამედიცინო დაწესებულებების და უფასო სასადილოების შემოწმება.

ამასთან, რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა უმუშევრობას, მცირე შემოსავალს, სოციალური დახმარებების მოხსნას, პროგრამებში ჩართვას და სხვა, ვაყენებდი კომისიის (ფრაქციის) და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკრებულოსა და მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.